ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N90.

ქ. თბილისი

10 ოქტომბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "დი ეი სი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით აფრიაშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსყიდველი ახორციელებს მიმწოდებლისაგან 125 (ასოცდახუთი) ცალი ელემენტის (G3101 GP 24A-2UE4/AAA 1.5V) შესყიდვას ტერმინალებისათვის. (CPV კოდი: 31410000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 575,00 ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ერთეულის ღირებულებაა 4,60 ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედდებულისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების კოორდინატორი - მაია კუჭაშვილი.
4.2. საქონლის მიღება-ჩაბარება დასტურდება სასაქონლო ზედდებულით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედ. №2.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.5. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.6. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერითანავე და მოქმედებს 2016 წლის 15 ნოემბრამდე.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს".

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"

შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"

შპს ,,დი ეი სი"
მის: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. N7
ს/კ 204975269
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE50BG0000000819562901

დირექტორი
დავით აფრიაშვილი